პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 179 (5988)

11 სექტემბერი, 1977 წ. კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

კომუნიზმისთვის მგზნებარე მებრძოლი

ფ. ე. ძერჟინსკის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება მოსკოვში

●

მგზნებარე რევოლუციონერის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, დიდი ლენინის უახლოესი თანამებრძოლისა და ერთგული მოწაფის ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის ცხოვრება და მოღვაწეობა შთამაგონებელი მაგალითია კომუნისტური საზოგადოების აშენებისთვის ბრძოლაში. შესანიშნავი მამულიშვილის დაბადების მე-100 წლისთავს მიეძღვნა საზეიმო კრება, რომელიც 9 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის დიდ თეატრში.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. უ. ჩერნენკო, კ. ვ. რუსაკოვი, რომლებსაც დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

მოხსენება „კომუნისტური მრწამსი ახალი სამყაროს მშენებელთა დიდი ძალაა“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ვ. ანდროპოვმა.

9 სექტემბერს, კომუნიზმისთვის მგზნებარე მებრძოლის, ვ. ი. ლენინის უახლოესი თანამებრძოლისა და ერთგული მოწაფის ფ. ე. ძერჟინსკის დაბადების მე-100 წლისთავის წინ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ი. ვ. ანდროპოვი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ა. შჩოლოკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, კომუნისტური პარტიის, სახელმწიფო უშიშროებისა და მილიციის ორგანოების ვეტერანები ეწვივნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმს და გვირგვინებით შეამკეს იგი.

გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს ფ. ე. ძერჟინსკის ძეგლი კრემლის გალავანთან და რევოლუციის რაინდის ძეგლი მოედანზე, რომელიც მისი სახელობისაა. (საქდესი).

„დინამოს“ დამაარსებლის ხსოვნას მიეძღვნა

საბჭოთა ადამიანები საზეიმოდ აღნიშნავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, ვ. ი. ლენინის უახლოესი თანამებრძოლის, მგზნებარე პატრიოტის ფ. ე. ძერჟინსკის დაბადების 100 წლისთავს.

სპორტული საზოგადოება „დინამოს“ ფუძემდებლის ფ. ე. ძერჟინსკის საიუბილეო თარიღს მრავალი თვალსაჩინო ღონისძიება უძღვნეს საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს სამრეწველო საწარმოებმა, ფიზკულტურის კოლექტივებმა და სპორტსმენებმა: მოეწყო რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსები, გაიმართა მასობრივი სპორტული შეჯიბრებები, სააგიტაციო გადარბენები, ესტაფეტები, კროსები, სპარტაკიადები.

საქართველოს დინამოელები აქტიურად მონაწილეობდნენ და მრავალ წარმატებებს მიაღწიეს „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს შეჯიბრებებში, რომლებიც ფ. ე. ძერჟინსკის 100 წლისთავს მიეძღვნა.

ი. იუნაევი.

„კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე

მშდ-მ სტარტი აიღო

პარასკევს „ლოკომოტივის“ სტადიონი საზეიმოდ იყო მორთული. იგი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე გამართულ თბილისის მშდ-ის მრავალჭიდელთა პირველობას მასპინძლობდა.

...საზეიმო აღლუმზე გამოვიდა ქალაქის ყველა რაიონის 200-მდე კაცი — თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე გასულ წელს. შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმა და წარმატება უსურვა კომკავშირის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა ი. ხუციშვილმა. შემდეგ გაიმართა შეჯიბრებები მძლეოსნურ სახეობებში.

მონაწილეთა შორის ვეტერანია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ცურვის კათედრის დოცენტი, 65 წლის ს. ილინი (ორჯონიკიძის რაიონი), ხოლო ცნობილ მშდ-ის მრავალჭიდელთაგან სტარტზე გამოდიან რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრები კ. გუნბა, ი. ვოლკოვი, ს. მურატოვი, ვ. გავრინი და სხვები — ამასწინანდელ ლიტვის ღია პირველობის ჩემპიონები.

სურათებზე: მშდ-ის მრავალჭიდელთა საქალაქო შეჯიბრების მონაწილეთა საზეიმო აღლუმი; 60 მეტრზე მორბენალ გოგონათა სტარტი; ვაჟებს შორის 100 მეტრზე შეჯიბრების მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

ფეხბურთი '77

გუშინ ბაქოში გაიმართა სსრ კავშირის მე-40 საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ნეფთჩი“ და თბილისის „დინამო“. საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

გოლები გაიტანეს ბაქოელთაგან ალიევმა, თბილისელთაგან — მ. მაჩაიძემ.

გასული თვის საუკეთესო ფეხბურთელი

აგვისტოს საუკეთესო ფეხბურთელად ცნეს ხმების უმრავლესობით სსრ კავშირის თასის მფლობელის — მოსკოვის „დინამოს“ თავდამსხმელი, სპორტის ოსტატი ვლადიმერ კაზაჩონოკი. იგი 25 წლისაა. სპორტული კარიერა დაიწყო ლენინგრადში, სადაც ჭაბუკთა გუნდიდან მიიღეს „ზენიტში“. შემდეგ ვლადიმერი გადავიდა მოსკოვის „დინამოში“. ფიზიკურად ძლიერი, სწრაფი და მოქნილი თავდამსხმელი ძალზე აქტიურია შეტევის დამამთავრებელ ფაზაში. საკავშირო ჩემპიონატებში კაზაჩონოკმა 70-მდე მატჩი ჩაატარა და 10-ზე მეტი ბურთი გაიტანა.

ცურვა

საბჭოთა გუნდის გამარჯვებით დამთავრდა მეგობრულ არმიათა სპარტაკიადა ცურვაში, რომელიც ბულგარეთის ქალაქ ვარნაში მიმდინარეობდა. მასში რვა ქვეყნის სპორტსმენები ასპარეზობდნენ. საბჭოთა გუნდმა 184 ქულა დააგროვა. II ადგილზე გავიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოცურავეები — 156, III — უნგრელები — 153.

გმირთა სახელები — მწვერვალებს

ესტონელმა ალპინისტებმა პამირის ხუთი ფეხდაუდგმელი პიკი დაიპყრეს. მათ გადაწყვიტეს ალაის ქედის მწვერვალებს დაარქვან მუშათა მოძრაობის გამოჩენილი ესტონელი მოღვაწეების, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაწილეთა — იანა ანველტის, ალისე ტისლერის, იანა კრეუკსის სახელები.

ტალინის ალპინიზმის კლუბში გამართულ პრეს-კონფერენციაზე აღინიშნა, რომ უმაღლესი მწვერვალი — „იან ანველტი“ (5049) დალაშქრა ჯგუფმა, რომელსაც მეთაურობდა ექსპედიციის ყველაზე ახალგაზრდა წევრი, კოლმეურნობა „კალევიპოეგის“ მთავარი ენერგეტიკოსი, 25 წლის ურმას გრაუზნი.

დიდი ხანი არ არის, რაც საფუძველი ჩაეყარა ალპინიზმს ესტონეთში, სადაც ყველაზე მაღალი მთა მუნამიაგი უმნიშვნელო ბორცვად მიაჩნდათ. ამ ხნის განმავლობაში მთასვლელებმა არაერთი რთული და სახიფათო მწვერვალი დაიპყრეს.

მ. ჟუმოვი.

ტალინი.

●

სოფლის საუკეთესო მოჭადრაკე

კალინინში გამართულ სოფლის მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატში, სადაც დიდოსტატი, 2 საერთაშორისო ოსტატი, 11 სპორტის ოსტატი და 4 ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა, ყველას აჯობა სპორტის ოსტატმა ვ. კოზლოვმა (არხანგელსკის ოლქი). მან წაუგებლად გაიარა ტურნირი და 17-დან 13,5 ქულა დააგროვა.

შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, 20 წლის ვ. გავრიკოვმა ს. ჟუხოვიცკისთან და ვ. ფედოროვთან ერთად 10,5 ქულით II-IV ადგილები გაიყო.

კალინინი.

●

მშვილდოსნებმა... გახსნეს მუზეუმი

მთიელ მესაქონლეთა ძველებურმა მშვილდებმა და თანამედროვე სპორტულმა იარაღებმა დაამშვენეს ტაჯიკეთის დედაქალაქის „დინამოს“ სტადიონზე გახსნილი არაჩვეულებრივი მუზეუმის სტენდები. ტაჯიკეთის პირველი მსოფლიო ჩემპიონის ზებინისო რუსტამოვას სურათის გვერდით მოთავსებულია მის მიერ ყველა რანგის შეჯიბრებებში მოპოვებული სპორტული ნადავლი. მრავალრიცხოვანი ექსპონატები ტაჯიკი მშვილდოსნების წარმატებებზე მოგვითხრობენ.

მშვილდოსნობა, როგორც სპორტის სახეობა, ყველაზე ახალგაზრდაა ტაჯიკეთში. პირველი სექცია 10 წლის წინათ ჩამოყალიბდა „დინამოს“ სტადიონზე, ამ ხნის განმავლობაში მათ შეძლეს საერთაშორისო კლასის სპორტსმენთა და ათობით სპორტის ოსტატთა მომზადება.

ამჟამად სექციაში 50-ზე მეტი ახალგაზრდა ვარჯიშობს. მუზეუმის დათვალიერება, მათთვის არა მარტო ისტორიის გაცნობაა, არამედ მაღალი შედეგების მიღწევის სტიმული. რა თქმა უნდა, ისინი ოცნებობენ მიაღწიონ ისეთ წარმატებას, როგორსაც მიაღწია მათმა თანამემამულემ ზ. რუსტამოვამ.

ლ. ჩიბრინი.

დუშანბე.

ჭადრაკი

ბელციში სსრ კავშირის ვაჟთა 45-ე ჩემპიონატის მასობრივი შესარჩევი ტურნირის IX ტურში 30 დამთავრებული პარტიიდან მხოლოდ ოთხში აღინიშნა ყაიმი. უშეღავათოდ იბრძვიან ლიდერები. დიდოსტატმა სავონმა დაამარცხა ანიკაევი. კუპრეიჩიკმა წააგო ეინგორნთან, ოსნოსმა — ვაისერთან, გუტმანმა — ტუკმაკოვთან, პეტრუშინმა — გურგენიძესთან. არანაკლებ მძაფრი იყო X ტურიც. ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა ვაისერმა, ამჯერად, ეინგორნთან. გუტმანმა მოუგო გურგენიძეს, პეტრუშინმა — კლოვანს. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ათი ტურის შემდეგ ალბურტს 7 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ვაისერს, გუტმანს, რაზუვაევს და ტუკმაკოვს — 7-7, სავონს — 6,5 (1), გურგენიძეს და პეტრუშინს — 6,5-6,5.

იუნიორთა მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში, რომელიც ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში მიმდინარეობს, 4 ტურის შემდეგ ლიდერობენ კუბელი ვერა და იუგოსლაველი პოპოვიჩი, რომლებსაც 4-4 ქულა აქვთ. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩება მოსკოველი ა. იუსუპოვი, რომელმაც III ტურში დაამარცხა შოტლანდიელი მორისონი, ხოლო IV — ლივანელი კოვატლი. 4 ტურის შემდეგ მას 3,5 ქულა აქვს. ტურნირში, რომელიც შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობს, შედგება 13 ტური.





ერთიან ძმურ ოჯახში

საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის სასახელოდ აღნიშვნისთვის ემზადება. მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს იუბილეს თვალსაჩინო წარმატებებით ეგებებიან ჩვენი მშრომელები, რომლებიც დგანან რა საიუბილეო შრომითს ვახტზე, წარმატებას აღწევენ მრეწველობისა და ეკონომიკის ყველა დარგში. დედასამშობლოს შრომით მიღწევებში თავიანთი წვლილი შეაქვთ საბჭოთა ფიზკულტურელებს და სპორტსმენებს, რომლებიც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვით გარემოსილები დიდ გამარჯვებებს აღწევენ საერთაშორისო თუ საკავშირო სარბიელზე.

საბჭოთა სპორტმა მსოფლიო აღიარება მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მოიპოვა. 60 წლის მანძილზე სსრ კავშირი გახდა მსოფლიოში პირველი სპორტული სახელმწიფო, რომელიც ნებისმიერად დიდ სპორტულ ფორუმში წარმატებით გამოდის. ჩვენი სპორტის საყოველთაო აღიარების ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა მოსკოვში XXII ოლიმპიური თამაშების ჩატარება, რაც მსოფლიო სპორტსმენთა მეგობრობის კიდევ ერთი დიდი დემონსტრაცია იქნება.

გვინდა ჩვენი გაზეთის მკითხველებს გავაცნოთ საქდესის ფოტოქრონიკის მიერ შემოთავაზებული მასალა — „დიდი სპორტის ქვეყანა". რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს ეძღვნება.

* * *

სურათებზე თქვენ ხედავთ ფიზკულტურულ პარადს წითელ მოედანზე, საბჭოთა ქვეყნის მთავარ სარბიელს — — ლუჟნიკის სტადიონს, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონებს ი. როდნინასა და ა. ზაიცევს ასპარეზობისას.

მკითხველი გვთავაზობს

მამულის ძალა და სილამაზე

სპორტზე ბევრი რამ დაწერილა და დაიწერება მომავალშიც. მან ეს უთუოდ დაიმსახურა. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ სპორტმა უდიდესი როლი შეასრულა ამ სამი ათეული წლის წინათ სვასტიკიანი ურჩხულისაგან კაცობრიობის გადარჩენაში.

მაგონდება ცნობილი სამხედრო მფრინავი და მწერალი ანტუან სენტ ეგზიუპერის სიტყვები: „მე როგორც მწერალი ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ, როგორც მებრძოლი და სამშობლოს დამცველი სპორტიდან მოვედი".

ქართველ მთამსვლელთა უდიდესი დამსახურება იყო სანჭაროს უღელტეხილის, მარუხისა და კავკასიონის სხვა გადასასვლელთა შეუვალობა დიდი სამამულო ომის პერიოდში.

ნონა გაფრინდაშვილმა მსოფლიოს ერთხელ კიდევ შეახსენა ქართველი ქალის ნიჭი და სულის ძლიერება. და განა მარტო ნონამ? ჩვენი დიდებული სპორტსმენების არსენ მეკოკიშვილის, რომან რურუას, გივი კარტოზიას, ნადეჟდა დვალიშვილის, მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, ბორის პაიჭაძის სპორტიდან წასვლის შემდეგაც კი ეს სახელები ჩვენში სიჩაუქის, გამტანობის, სიმტკიცის სინონიმებია.

ჩვენ იმედიან თვალს ვადევნებთ სრულიად ახალგაზრდა სპორტსმენებს და მათი წარმატებებით ესთეტიკური სიამოვნების გარდა ის დიდი რწმენაც გვიმტკიცდება, რომელსაც ერისადმი, სამშობლოსადმი უანგარო სამსახური ეწოდებოდა მუდამ.

სპორტი ჩვენს ყოველდღიურობაში დამკვიდრდა და სასიამოვნო ფაქტია, რომ ჩვენი პარტია და მთავრობა ყოველგვარ პირობებს ქმნის იმისთვის, რომ მისი მასობრიობა საზოგადოების განვითარების კანონზომიერ მოვლენად იქცეს.

როგორც სპორტის გულშემატკივარს, აქვე მინდა წინადადების სახით ორიოდე მოსაზრებაც გამოვთქვა. მაგალითად: დამთავრდა ფეხბურთის მატჩი. მნიშვნელობა არა აქვს, რა შედეგით. ხომ არ შეიძლებოდა მეორე დღეს ფეხბურთელთა გუნდის რამდენიმე წარმომადგენელი მაინც შეხვედროდა მაყურებლებს? სპორტსმენებისა და გულშემატკივრების შეხვედრა უსარგებლო არ იქნებოდა პირველ რიგში სპორტსმენებისთვის. რატომ არ შეიძლება ამ შეხვედრის მსაჯიც შეხვდეს მაყურებლებს? ეს წესი ბევრ იმ გაუგებრობასაც აღმოფხვრიდა, რომელიც, სამწუხაროდ, არათუ ლაზათს, შინაგან მორალურ სახესაც უკარგავს ხოლმე სპორტულ პაექრობას. ასეთი შეხვედრების შემოღება თანაბრად სასარგებლო იქნებოდა გულშემატკივრისთვისაც და მსაჯისთვისაც. შეიძლება ყველაფერი ეს მატჩის დაწყებამდეც მოეწყოს. ძნელი არ იქნებოდა თვეში ერთხელ მაინც, განსაკუთრებით კი საპასუხისმგებლო შეხვედრების წინ მოეწყოს მაყურებელთა წინაშე სპორტსმენების თვითანგარიში. ეს არა მარტო დაგვეხმარება სპორტული პროპაგანდის თვალსაზრისით, არამედ სპორტსმენსაც მეტ პასუხისმგებლობას დააკისრებს.

დღეს სპორტის ყველა მოყვარული ამაყობს „დინამოს" სტადიონით, ნამდვილად შესაძლებელია სტადიონის ახლოს მდებარე ორჯონიკიძის სახელობის პარკის შესასვლელთან მოეწყოს გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელთა სპორტული ცხოვრების ამსახველი სტენდი. განა დღევანდელ მოზარდს უფრო მაღალი მიღწევებისკენ არ წააქეზებს ფეხბურთის დიდოსტატთა ფოტოების თუნდაც წუთიერი შეთვალიერება? პლეხანოვის გამზირზე მოძმე რესპუბლიკების ზოგადპოლიტიკური გაზეთების გვერდით სპორტული პერიოდიკაც ერთობ მისასალმებელი იქნებოდა.

სპორტი მამულის ძალა და სილამაზეა. ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ მის პროპაგანდაში.

ე. ფერაძე.

სპორტული ცხინვალი

„კოლმეურნის" სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს ჩემპიონობა ფეხბურთში ზნაურის რაიონის ნაკრებმა მოიპოვა. II-III ადგილები ცხინვალისა და ლენინგორის გუნდებს ხვდათ.

რაიონის ფრენბურთელ ვაჟთა შეჯიბრებაში ხუთი გუნდი მონაწილეობდა. I ადგილი კეხვის კოლმეურნეობის გუნდმა დაიკავა, II იყო დმენისის, III — არცევის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენები.

„კოლმეურნის" სამხრეთ ოსეთის ოლქის მძლეოსანთა პირად-გუნდურ პირველობაში ჯავის რაიონის გუნდმა იმარჯვა. II-III ადგილებზე ლენინგორისა და ცხინვალის გუნდები გავიდნენ.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

სპორტსმენები თვითმფრინავის შტურვალთან

ქალაქ კიმრში ჩკალოვის სახელობის სსრ კავშირის ცენტრალური აეროკლუბის აეროდრომზე ჩატარდა 24-ე საკავშირო ჩემპიონატი სათვითმფრინავო სპორტში. რამდენიმე წლის შესვენების შემდეგ საპილოტაჟო ვარჯიშები კვლავ შეიტანეს შეჯიბრების პროგრამაში. მონაწილეებმა ახალი სპორტული თვითმფრინავით — იაკ-50-ით იასპარეზეს.

მრავალჭიდში ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვეს ტულელმა ლიდია ლეონოვამ და მოსკოველმა მიხეილ მოლჩანიუკმა. (საქდესი).

მარტივი ტიპის ბადეების მოწყობის მსურველთა დასახმარებლად

•

გააკეთეთ თქვენ თვითონ

ფრენბურთი

მოედნის სიგრძე 18 მეტრია, სიგანე — 9. მოედანს ირგვლივ გარს უნდა ერტყას არა უმცირეს 2 მეტრის სიგანის თავისუფალი სივრცე, სადაც მოთამაშეებს შეეძლებათ ბურთის მისაღებად გავიდნენ. მოედნის ნიადაგი აქაც შერეულია — მიწა და სილა (ნახევარი სილა და ნახევარი მიწა).

მოედანი შემოფარგლულია 2 გვერდითი და 2 პირითი ხაზით. გვერდითი ხაზების შუა წერტილების შეერთება გვაძლევს მოედნის შუა ხაზს. პირით ხაზზე მარჯვენა კუთხიდან 3 მეტრის მანძილზე იხაზება 15 სმ სიგრძის ხაზი, პირითი ხაზის შვეულად (პერპენდიკულარულად), რაც ფარგლავს მოწოდების სივრცეს. მოედნის ორივე კიდე შუაზე იყოფა თავდასხმის ხაზით.

მოედანზე ყველა ხაზის სიგანე 5 სანტიმეტრია. მისი სიგანე მოედნის ზომაში შედის.

ფრენბურთის ბადე სიგანით 1 მეტრია, სიგრძით — 9,5 მეტრი. ბოძების სიმაღლე 260 სმ-ს უდრის. ისინი ჩასმულია მიწაში გვერდითი ხაზების შუა წერტილებიდან 50 სმ-ის დაშორებით (გარეთ) ერთი მეტრის სიღრმეზე. ბადის ზედა ნაპირის სიმაღლე იცვლება მოსწავლეთა ასაკისა და სქესის შესაბამისად:

13-14 წლის მოზარდებისთვის: ბიჭებისთვის — 2 მ 20 სმ, გოგონებისთვის — 2 მ 10 სმ;

15-16 წლის მოზარდებისთვის: ბიჭებისთვის — 2 მ 35 სმ, გოგონებისთვის — 2 მ 20 სმ;

17-18 წლის მოზარდებისა და მოზრდილებისთვის: ბიჭებისთვის — 2 მ 43 სმ, გოგონებისთვის — 2 მ 24 სმ.

ბადის ზედა ნაპირს აკრავს 5 სმ სიგანის თეთრი ზოლი. ბადის უჯრედების სიდიდეა 10×10 სმ. ბადეს მოედნის 9-მეტრიანი სიგანის აღსანიშნავად შვეულად უნდა ჰქონდეს 5 სმ სიგანის ზოლები, რომლებიც ბადის დაჭიმვის დროს ზუსტად გვერდითი ხაზების ზომას მიესადაგება. ბადის ქვედა დამჭიმავი ზონრები მაგრდება მოედნის ზედაპირიდან 125 სმ სიმაღლეზე ისე, რომ ბადის ქვედა ნაპირი მიწიდან 145 სმ სიმაღლეზე იყოს.

მოედნის გვერდით ხაზთან, ბადის სიგრძის დასასრულს (9 მეტრის აღნიშვნაზე) ბადეს ქვემოდან და ზემოდან უკეთდება (ბადეზე მაგრდება) 8 სმ სიგრძის ანტენა, რომლის დანიშნულებაა განსაზღვროს, ბურთი თამაშიდან გასულია თუ მოედნის შიგნითაა გათამაშებული.

ფრენბურთში თამაშის დაწყებისათვის აუცილებლად საჭიროა 3 ბურთი.

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 178.



[illegible] სტადიონით

ჩხოროწყუ

ჩხოროწყუს სტადიონზე გაიმართა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა მძლეოსნობაში. გაიმარჯვა სოფელ ლესიჭინეს მე-2 საშუალო სკოლის გუნდმა. მეორე იყო დაბა ჩხოროწყუს 1-ლი საშუალო სკოლის ნაკრები, — III ლესიჭინეს 1-ლი სკოლის კოლექტივი.

ს. ჯალაღონია.
(ჩვენი კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი '77

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

□ **„დურუჯი" (ყვარელი) — „იბერია" (საჩხერე) 2:2. მსაჯი გ. სეფიაშვილი (სამტრედია).**

მატჩი მიმდინარეობდა საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში. მის დამთავრებას აკლდა 3 წუთი, როცა სტუმრები წინ იყვნენ — 2:1. მდგომარეობის ხსნა შეძლო ღონღაძემ.

□ **„კოლხეთი" (ფოთი) — „მზიური" (გალი) 3:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).**

ანგარიში დასაწყისშივე გახსნა ფოთელმა სანაიამ. მართალია, ოსტროვსკიმ სულ მალე გაიტანა საპასუხო ბურთი, მაგრამ შემდგომში მასპინძლები უკეთ თამაშობდნენ, რაც დამთავრდა მადანისა და ნ. ტყებუჩავას 2 გოლით.

□ **„იმერეთი" (წულუკიძე) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 3:0. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).**

საინტერესოა, რომ ამ დიდი ანგარიშით მოგებულ მატჩში პირველი ტაიმი უშედეგო იყო. მელაძემ, ბერძენიშვილმა და უგულავამ სამივე გოლი შესვენების შემდეგ გაიტანეს.

□ **„ეგრისი" (ცხაკაია) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 1:0. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).**

სტუმრები ბევრს ეცადნენ გაექვითათ დარასელიას მიერ მე-20 წუთზე გატანილი გოლი, მაგრამ ეს მათ ვერ შეძლეს.

□ **„ივერია" (ხაშური) — „ქართლი" (გორის რაიონი) 1:0. მსაჯი ზ. ზუმბაძე (ახალციხე).**

□ **„განთიადი" (თბილისი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:1. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).**

პირველი ტაიმის ორმხრივ იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია. შემდეგ განთიადელებმა მოიპოვეს 11-მეტრიანის უფლება, რომელიც კარგად გამოიყენა ცქვიტაიამ. ეს გოლი 85-ე წუთზე გაქვითა ოსაძემ.

□ **„ნადიკვარი" (თელავი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 0:0. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).**

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მზიური"	29	18	7	4	39—19	43
„იბერია" ს.	28	14	10	4	44—30	38
„სპარტაკი"	29	16	5	8	40—19	37
„მაღარ."	29	12	12	5	41—24	36
„მეტალ." რ.	25	11	10	4	35—21	32
„მეშახტე"	28	11	9	8	30—23	31
„კოლხ." ფ.	30	10	10	10	41—40	30
„მერცხალი"	27	11	7	9	44—22	29
პოლ. ინსტ.	29	11	7	11	48—42	29
„კოლხ." ხ.	27	10	8	9	26—26	28
„ივერია" ხ.	30	10	8	12	29—44	28
„სქური"	27	12	3	12	39—42	27
„სალხინო"	26	9	8	9	32—29	26
„მეტალ." ზ.	29	9	7	13	43—42	25
„ნადიკვარი"	27	8	9	10	30—31	25
„ეგრისი"	28	10	4	14	33—40	24
ფიზკ. ინსტ.	25	10	3	12	27—35	23
„ამირანი"	29	8	7	14	24—34	23
„დურუჯი"	28	9	5	14	31—50	23
„იმერეთი"	30	8	7	15	33—53	23
„ქართლი"	29	9	5	15	28—49	23
„განთიადი"	23	4	8	11	18—30	16
ასკ თბ.	22	3	9	10	20—30	15

• • •

საქართველოს ჩემპიონატის წინა ტურში გალის „მზიურისა" და პოლიტექნიკური ინსტიტუტის (თბილისი) გუნდის შეხვედრა დამთავრდა „მზიურის" გამარჯვებით ანგარიშით 3:2. მესამე გოლი სტუდენტთა კარში გაიტანა გალელმა ოსტროვსკიმ.

საჯარიმო დარტყმა

განვლილ ტურში გაფრთხილებული არიან ფოთის „კოლხეთის" მოთამაშეები მ. ფილია და რ. ლურწკაია.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

ოლიმპიური მოზაიკა

● სტოკჰოლმის V ოლიმპიური თამაშების აპოთეოზად ითვლება ვაჟთა რბენა 5000-მეტრიან დისტანციაზე. ოქროს მედალი, როგორც ცნობილია, მოიპოვა ლეგენდარული პაავო ნურმის წინამორბედმა ჰ. კოლეჰმაინენმა (ფინეთი). II ადგილი დაიკავა ჟან ბუენმა (საფრანგეთი), რომელიც გამარჯვებულს 0,1 წამით ჩამორჩა. ოლიმპიადების ისტორიაში ეს გარბენი შევიდა, როგორც „ღმერთების შეჯიბრება". ასე მოიხსენიება იგი ოლიმპიურ ლიტერატურაშიც.

● პირველად მსოფლიო რეკორდი წესების დარღვევისთვის სტოკჰოლმში გააუქმეს. ვაჟთა 4×100 მ ესტაფეტაში საუკეთესო დრო აჩვენა გერმანიის გუნდმა (ჰალტი, გერმანი, კერნი, რაუ) — 42,3, მაგრამ ესტაფეტის არასწორი გადაცემისთვის ეს ოთხეული შეჯიბრებიდან მოიხსნა.

● სტოკჰოლმის ოლიმპიადაში როგორც ხუთჭიდელთა, ისე ათჭიდელთა ტურნირი ამერიკელმა ჯიმ ტორპმა მოიგო. ერთი წლის შემდეგ, 1913 წლის 30 მაისს ტორპს ბრალი დასდეს პროფესიონალიზმში და ჯილდოები ჩამოართვეს. გამარჯვება დაუსწრებლად მიაკუთვნეს ნორვეგიელ ფ. ბის (ხუთჭიდში) და შვედ ჰ. ვისლანდერს (ათჭიდში). ორივე სპორტსმენმა უარი თქვა მედლების მიღებაზე.

● საშუალო წონის მოჭიდავეთა (ბერძნულ-რომაული სტილი, ანუ კლასიკური) ოლიმპიური ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ შვედი ანდერს ალგრენი და ფინელი ივარ ბიოლინგი. ბრძოლა გაგრძელდა... 9 საათს, მაგრამ მსაჯებმა ვერც ერთს ვერ მიანიჭეს უპირატესობა. ამიტომ ოქროს მედალი ამ წონაში არ გათამაშდა. ბრინჯაოს ჯილდო კი მოიგო უნგრელმა ბ. ვარგამ, რომელმაც მეტოქე წუთნახევარში დაამარცხა.

● სტოკჰოლმში მცირეკალიბრიანი შაშხანის 50 მეტრზე სროლაში შვეციის გუნდმა გამოიყვანა ტყუპი ძმები — მერიკ და ვილჰელმ კარლბერგები. ამბობენ ისინი ძალზე ჰგავდნენ ერთმანეთს და ცეცხლის ხაზზე მუდამ ერთი გამოდიოდაო. მსაჯებმა ვარაფრით შეამოწმეს ეჭვები და იძულებული გახდნენ ორივესთვის ვერცხლის მედლები მიეცათ.

● ამავე ოლიმპიადაში გაქცეულ ირემზე სროლა მოიგო შვეციის გუნდმა, რომელშიც გამოდიოდნენ მამა-შვილი ალფრედ და ოსკარ სვანები. ოლიმპიადების ისტორიაში ეს ერთადერთი მაგალითია, როცა მამა-შვილმა ოქროს მედლები დაიმსახურა ერთ ტურნირში.

● სტოკჰოლმის ოლიმპიადის ლიტერატურის კონკურსში გაიმარჯვეს გერმანელებმა გ. ჰოხროდმა და მ. ეშბახმა. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ორივე ეს გვარი ერთი ადამიანის ფსევდონიმი ყოფილა. პრემირებული ლექსი ეკუთვნოდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს პიერ დე კუბერტენს.

● ანტვერპენის VII ოლიმპიადაში კროსი 10 კილომეტრზე ფენომენალური შედეგით მოიგო ფინელმა პაავო ნურმიმ — 27.15,0. ფანტასტიკური იყო ორი დანარჩენი პრიზიორის დროც. ამან მსაჯთა კოლეგია დააეჭვა. დისტანციის ხელახალი გაზომვისას გამოირკვა, რომ იგი საგრძნობლად უფრო მოკლე იყო. ცხადია, მსოფლიო რეკორდები არ დამტკიცდა.

● VII ოლიმპიადის მშვილდოსანთა ტურნირი მოიგო ბელგიის გუნდმა, რომელსაც კონკურენტი არ ჰყავდა. ოლიმპიადების ისტორიაში ეს იშვიათი შემთხვევაა.

● ანტვერპენის ფეხბურთელთა ტურნირში III ადგილი მიეკუთვნა ჰოლანდიის ნაკრებს, ვინაიდან ბელგიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრა ჩხუბის გამო არ დამთავრდა. კონფლიქტის დაწყების წინ ანგარიში მიჰყავდათ ბელგიელებს (2:0), მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ ორივე გუნდი მოხსნა.



UNIVERSIADE
SOFIA
1977

„იგიტურის" ჰანგის თანხლებით

საბჭოთა სპორტსმენები ოქროს მედალს ოქროს მედალზე ღებულობდნენ. ყოველ საღამოს ხან უკრაინელ კოლეგას ვულოცავდი თავისი რესპუბლიკის წარმომადგენლის გამარჯვებას, ხან ბელორუსიელსა თუ უზბეკს. მე ასეთი ბედნიერება არ მქონდა იმ უბრალო მიზეზით, რომ 24 აგვისტომდე საქართველოს ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. და არა მხოლოდ უმაღლესზე.

ბოლოს და ბოლოს „ფესტივალნის" დარბაზში ქართველი სპორტსმენის გამარჯვების აღსანიშნავად გაისმა სტუდენტთა ჰიმნი „გაუდეამუს იგიტური". საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე კლასიკური სტილის მოჭიდავე ვახტანგ ბლაგიძე იდგა.

მსოფლიოს სტუდენტ სპორტსმენთა ფორუმის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტები ამბობდნენ, ვისაც უნივერსიადის საზეიმო გახსნა და ხუანტორენას (კასანიას რატომღაც ივიწყებდნენ) გამოსვლა არ უნახავს, მას არ უნახავს უნივერსიადაო. ამ სიტყვებს იმასაც დავუმატებდი, რომ ვისაც ბლაგიძის გამოსვლა არ უნახავს, ხეირიანად არც მას უნახავს უნივერსიადა. თვითონ განსაჯეთ. ბლაგიძემ თავისი პირველი მეტოქე, უნგრელი ევროპის ჩემპიონი რაცი სუფთად დაამარცხა. რაცს რუმინელი მსოფლიო ჩემპიონი ჯინგა მოჰყვა, რომელიც 15:7-ზე დაამარცხა. შემდეგ კვლავ სუფთა გამარჯვება. ამჯერად ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორთან ბანგთან (კორეა). ბოლოს ფინალი, სადაც ქართველ მოჭიდავესთან ერთად ნაკლებად ცნობილი თურქი კარადაგი მოხვდა.

ვიდრე ჩვენი თანამემამულე საჭიდაოდ გავიდოდა, ხუმრობით ვუთხარი, თუ კაცი ხარ, ეგ თურქი ისევე სწრაფად არ წააქციო, როგორც სხვები, თორემ გადაღებას ვერ ვასწრებ-მეთქი. ასე კი ვუთხარი, მაგრამ ერთი სული მქონდა, როდის დაიწყებოდა და დამთავრდებოდა ჭიდაობა.

და აი, გადამწყვეტი ბრძოლაც დაიწყო. ჩვენმა ფალავანმა თურქს გამალებით შეუტია და ქულას ქულაზე იღებდა. მაგრამ თურქი, ცოტა არ იყოს, კერკეტი გამოდგა და არც ის იდგა გულხელდაკრეფილი. თუმცა ჩვენი ათლეტის უპირატესობა მაინც აშკარა იყო. იგი ამ ბრძოლაში, და არა მხოლოდ ამ ბრძოლაში, გამძვინვარებულ ვეფხვს ჰგავდა. გამარჯვების ჟინით შეპყრობილს თვალები უელავდა. სულ უფრო და უფრო აგიზგიზებდა საჭიდაო ხალიჩაზე დანთებულ ცეცხლს. ამ ცეცხლს იმ თურქმა 6 წუთს გაუძლო და ქართველმა ფალავანმა კიდევ ერთ სუფთა გამარჯვებასთან ერთად უნივერსიადის ჩემპიონობაც იზეიმა. ამ გამარჯვებით ვახტანგი ფაქტიურად მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. მის წონაში (52 კგ.) ხომ პლანეტის თითქმის ყველა უძლიერესმა მოჭიდავემ მოიყარა თავი.

ბლაგიძის გამარჯვება მით უფრო საამაყოა, რომ საბჭოთა „კლასიკოსთაგან" მხოლოდ ის და ავდიშევი (90 კგ) გახდნენ ჩემპიონები.

როდესაც ბლაგიძის გამარჯვების აღსანიშნავად „გაუდეამუს იგიტური" ჟღერდა, ერთი საბჭოთა მწვრთნელი მოვიდა და მითხრა, აი, სწორედ ბლაგიძის მსგავსი ბიჭები ხდებიან ოლიმპიური ჩემპიონებიო.



უნივერსიადის სახუმარო ემბლემები

●

იმ საღამოს, ვინც ბლაგიძის ბრძოლა ნახა, ყველა მასზე საუბრობდა. ჟურნალისტები კი უკან დასდევდნენ ინტერვიუს ასაღებად. პირველი ინტერვიუ ვახტანგს ბულგარეთის რადიოს წარმომადგენელმა სთხოვა. რეპორტიორს ჯერ შეკითხვაც მიცემული არ ჰქონდა, რომ ჩემპიონმა სხაპასხუპით დაიწყო პასუხი...

ვახტანგის სიტყვების შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ისინი წინასწარ გაიზეპირა. რატომაც არა, იგი ხომ მუდამ დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში. ის კი ძალიან გამიკვირდა, როდესაც თქვა, ბრძოლები ერთობ ძნელი იყოო. ეტყობა, ამით ან მეტოქეთა მიმართ პატივისცემა გამოხატა, ან მისი იოლი გამარჯვებები მხოლოდ მოჩვენებითი იყო.

ასე იყო თუ ისე, იმ ჟურნალისტებმა ვინც ბლაგიძის ბრძოლები ვერ ნახეს, დამიმარტოხელავეს და მეუბნებიან, აბა, ახლა ყველაფერი გვიამბე შენს თანამემამულეზეო. მეც ამაყად ვუამბობ, რაც ვიცი:

„მე და ის ერთ სამხედრო ნაწილში ვმსახურობდით. როცა ის ჩვენთან იყო, მხიარულებაც თან გვდევდა. იგი მახარაძის რაიონის სოფელ ბაილეთში დაიბადა და იქვე გაიზარდა. ახლა კი თბილისში ცხოვრობს და ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტია. შარშან ბლაგიძემ პირველი დიდი გამარჯვება იზეიმა, როდესაც ულიანოვსკში გამართულ სსრ კავშირის ჩემპიონატში 52 კილოგრამიან მოჭიდავეთა შორის III ადგილი დაიკავა. არადა, მის წონაში 1952 წლიდან მოყოლებული საქართველოს არც ერთი წარმომადგენელი არ ასულა საპატიო კვარცხლბეკზე. შემდეგ მან გაიმარჯვა დრეზდენში, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ზეელენბინდერის სახელობის დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც 18 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. სხვათა შორის, ვახტანგს კარგად აქვს დაცდილი ბულგარეთი. იგი აქ მეოთხედ გამოდიოდა და აქედან მხოლოდ ერთხელ დაიკავა II ადგილი. დანარჩენში გაიმარჯვა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ექვსიოდე წლის წინათ მახარაძეში „კლასიკოსთა" რესპუბლიკური ჩემპიონატი ჩატარდა. ვახტანგ ბლაგიძემ ეს შეჯიბრება ნახა. ნახა და მოეწონა"...

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფია-თბილისი.

(გაგრძელება იქნება)

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ქართველ ფალავანს ასეთ დღეში ჰყავდა მეტოქეები. ამჯერად მის მარწუხებში თურქი ს. კარადაგია მოხვედრილი; „ყველაფერი კარგია, ასევე გააგრძელე ბრძოლა, შენ ჩემპიონი გახდები", ეუბნებიან ბლაგიძეს მწვრთნელები, მათ შორის ჩვენი თანამემამულე ო. ბლიაძე (მარცხნივ); „რას იტყვის მსაჯი?"; სულ ცოტაც და, ეს ბულგარელი გოგონა ოქროს მედალს მიართმევს ქართველ ფალავანს.

ავტორის ფოტოები.

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 176, № 177, № 178.

მეათასე დიპლომი

ამას წინათ ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის სიმბოლოიანი ნაწარმის შერჩევისა და დამზადების სპეციალური კომისიის სხდომაზე ლენინგრადის მხატვრული მინის ქარხნის წარმომადგენელს გადაეცა № 1 დიპლომი. ამჟამად საორგანიზაციო კომიტეტმა ოლიმპიური პროდუქციის გამოშვების ნებადამრთველი მეათასე დიპლომი გასცა. მისი მფლობელია ბამბეულის ქსოვილების დამზადების უძველესი ცენტრის — ქალაქ ვანოვის სართავ-გამოსაყვანი ფაბრიკა „კრასნაია ტალკა".

ქარხნის მხატვართა მიერ წარმოდგენილი „ოლიმპიური" ნიმუშები ფერთა შეხამებით, ნახატის მოფიქრებული კომპოზიციითა და ოლიმპიური სიმბოლოების გამოყენების ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩეოდა.

„კრასნაია ტალკა" ერთ-ერთი წარმოებაა იმ 800-იდან, რომელთაც ოლიმპიური დიპლომები მიიღეს. წლის განმავლობაში საორგანიზაციო კომიტეტის კომისია 40-ჯერ შეიკრიბა. მისი წარმომადგენლები გამოფენა-განხილვას თითქმის ყველა მოძმე რესპუბლიკაში დაესწრნენ. და ეს ბუნებრივიცაა — ოლიმპიურ სიმბოლოიან პროდუქციას ქვეყანა უკვე საკმაო რაოდენობით უშვებს. ძალზე პოპულარულია ესტონეთში დამზადებული თავსაფრები და სპორტული ტანსაცმელი.

საორგანიზაციო კომიტეტის კომისიის მიერ მოწონებული პროდუქციის ნაწილს სულ მალე მაღაზიის თაროებზე იხილავთ. (საკდესის კორ.).

ჩემი პირველი საერთაშორისო

საბჭოთა სპორტის ისტორიიდან

მოკრივეს თავის სპორტული კარიერის მანძილზე ათასნაირ მოწინააღმდეგესთან უწევს შეხვედრა. ხშირად ბრძოლის მანერის, სტილის მთლიანი გარდაქმნაც ხდება ხოლმე საჭირო. სწორედ ამგვარი შემთხვევა აქვს აღწერილი ტყავის ხელთათმანის ცნობილ ოსტატს ნ. კოროლიოვს თავის ერთ-ერთ მოგონებაში.

1937 წელს პირველად მივიღე მონაწილეობა საერთაშორისო შეხვედრაში. ეს მოხდა ანტვერპენში. ჩემი პირველი მოწინააღმდეგე ფინელი ხელანდერი გახლდათ. მე, რა თქმა უნდა, ძალზე მაინტერესებდა თუ როგორ გამოიყურებოდა იგი.

ერთხელ სასტუმროდან გამოსულმა შევამჩნიე, გამვლელები რაღაცას მისჩერებიან ღიმილით. თვალი გავაყოლე. ვხედავ, ფინელები მოდიან და მათ შორის ვიღაც ზორბა, ლამის ყველა მათგანზე ორი თავით მაღალი ვაჟკაცი მოიმართება მკლავებზე დაგრაგნილი კუნთებითა და ისეთი განიერი ზურგით, რომელზეც კარგა მოზრდილი კარადა დაეტეოდა. ხალხი თვალს ვეღარ აცილებდა გოლიათს.

ეს რომ რინგზე შემხვდეს, ნამდვილად შავ დღეს დამაყრის-მეთქი, გავიფიქრე.

ამ დროს ერთი სპორტსმენი დამეწია, მეკითხება:

— ჰა, როგორია?

— ძალიან ძლიერი კაცი ჩანს, ვინ არის ნეტავ?

— ნუთუ არ იცი? ეს ხომ შენი მოწინააღმდეგეა.

— ხელანდერი?

— სწორედ ის.

გამოგიტყდებით, შევფიქრიანდი. ამასთან ფუჭი იყო რაიმე ტაქტიკურ ვარიანტზე ფიქრი. მრავალგვარ მოკრივეს შევხვედრივარ, მათ შორის საკმაოდ მაღლებსაც, მაგრამ ხელანდერმა ყოველგვარ ზომას გადააჭარბა—მხრებამდე ძლივს ვწვდებოდი.

ძილი არ გამკარებია საგონებელში ჩავარდნილს.

საქმე ის იყო, რომ როგორც არ უნდა მეცადა, თავში ვერ მოვახვედრებდი. დარტყმის დროს ალბათ ახტომა მომიწევდა. კარგი სანახავი კი ვიქნები რინგზე, მეცინებოდა გუნებაში, როცა ჩემ თავს ამ დღეში წარმოვიდგენდი. ხალხის ჩურჩულმა მთლად მომიღო ბოლო. სადაც არ წავედი, თვალს მაყოლებდნენ, მეტოქე-გოლიათს მადარებდნენ, ვგრძნობდი ჩემზე სასიკეთოს არაფერს ფიქრობდნენ. ჩვენები მამხნევებდნენ, მაგრამ მათ მზერაშიც შეშფოთება ჩანდა.

და მაინც ეს ჩემი პირველი საერთაშორისო შეხვედრა იყო და გულში მტკიცედ ამოვიჭერი გამარჯვება. რინგზე ამ გადაწყვეტილებით გავედი.

მე და ხელანდერმა ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს. ავხედე ჩემს მოწინააღმდეგეს. ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ თუ კი მოვინდომებდი მისთვის ნიკაპში დარტყმას, მართლაც უნდა ავმხტარიყავი.

ბრძოლა დაიწყო. ფინელმა აქტიურად შემომიტია. მარცხენა პირდაპირი, შემდეგ მარჯვენა. მე ვიცდენ, ხელანდერი კვლავ მარცხენას მირტყამს და მარჯვენას უნაცვლებს, ისევ და ისევ ვიცდენ ყვინთვითა და გადახრებით. ხელები კი მზადა მაქვს მომარჯვებული დარტყმისთვის. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს ამას — მეტოქის თავს მაინც ვერ მივწვდები.

მოდი მოვატყუებ-მეთქი, გავიფიქრე. როგორმე უნდა ვაიძულო მოწინააღმდეგე დაიღუნოს, თუნდაც ოდნავ. ხელანდერი კვლავ მირტყამს. მე თავად ვიღუნები დაბლა, ადგილიდან ფეხს არ ვინაცვლებ. იგი კვლავ იმეორებს დარტყმებს, მაგრამ ახლა სიმაღლე უკვე ხელს უშლის და თვითონაც იძულებულია წელში მოიხაროს, რათა მისმა პირდაპირმა (როგორც ჩანდა — ძირითადმა) დარტყმებმა ცუდ-უბრალოდ არ იქროლოს ჰაერში. ხერხმა გასჭრა და აი, ხელანდერის მორიგი შეტევა. ვყვინთავ. ამაცდინა. ჩემს წინ ვხედავ მის მუცელს, ხელანდერი კვლავ აპირებს დარტყმას, მაგრამ ისეთნაირად ვდგევარ, წელში მოხრა მოუწევს. დარტყმა. წარმოვიდგინე, სად უნდა ყოფილიყო მისი თავი, უცებ გავიმართე და მარცხენა ამოვკარი. ზუსტად ნიკაპში მოვახვედრე. ხელანდერი იატაკზე დახვავდა. კუთხეში ვდგევარ. მსაჯი ითვლის... ხუთი, ექვსი. ნუთუ ასე დამთავრდება ბრძოლა? აუტ! ისმის მსაჯის ხმა.

ახლა კი მოწინააღმდეგეს მივაშურე და ვუშველე თავის კუთხეში მისულიყო.

ზუსტად თერთმეტი სეკუნდი გაგრძელდა ჩემი ბრძოლა გოლიათ მოწინააღმდეგესთან.

თარგმნა ე. გიორგაძემ.

შ. ზარდიაშვილი

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 53 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებისა და საერთაშორისო შეჯიბრებების პრიზიორი, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი საავტომობილო-საგზატკეცილო წრიულ რბოლაში, სპორტის ოსტატი შოთა გიორგის ძე ზარდიაშვილი.

ჯერ კიდევ ჭაბუკი წავიდა დიდ სამამულო ომში შოთა. გამარჯვების დღეებამდე მრავალ ქვეყანაში იბრძოდა, რისთვისაც მთავრობის ჯილდოები დაიმსახურა.

ომის დამთავრების შემდეგ შ. ზარდიაშვილმა მთელი თავისი ძალები მოახმარა საქართველოში ახლადჩასახული საავტომობილო სპორტის განვითარებას.

ზარდიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ჩვენს რესპუბლიკაში პირველი სარბოლო ავტომობილის შექმნაში. ამ ავტომობილით 1961 წელს ეჯიბრებოდა საბჭოთა კავშირის საუკეთესო ქარხნებსა და ლაბორატორიებში აწყობილ მანქანებს და პირველად საქართველოს საავტომობილო სპორტის ისტორიაში გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი და დიდი ოქროს მედლის მფლობელი.

ზარდიაშვილი იყო ამ მეტად რთული და ვაჟკაცური სახეობის სანიმუშო სპორტსმენი, გამოირჩეოდა იშვიათი შრომისმოყვარეობითა და თავმდაბლობით.

შოთა ზარდიაშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება იმათ შორის, ვინც მას იცნობდა.

ამხანაგების ჯგუფი.

წლების განმავლობაში დასახული გეგმით

როზემარი აკერმანი: 2 მეტრი ზღვარი არ არის

ახლახან, 1977 წლის 26 აგვისტოს დაიბადა მსოფლიოს ახალი რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის. დასავლეთ ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე კოტბუსელმა როზემარი აკერმანმა ქალთა შორის პირველმა დაძლია ორმეტრიანი ზღვარი.

1905 წელს პირველმა სპორტსმენმა ქალმა 130 სმ სიმაღლე გადალახა. 1910 წელს უკვე სხვამ — 140 სმ, 1923 წელს თამასამ 150 სმ-მდე აიწია, ხოლო 1928 წელს სიმაღლემ 160-მდე აიწია. მხოლოდ 1943 წელს მიაღწიეს ქალებმა იმ დროისთვის სანუკვარ სიმაღლეს 170 სმ; 15 წლის შემდეგ რუმინელმა იოლანტა ბალაშმა მსოფლიო რეკორდი 180 სმ-მდე გაზარდა. ამას მოჰყვა მისივე ახალი მსოფლიო რეკორდი — 190 სმ. და აი, ორმეტრიანი ზღვარიც დაძლეულია! მსოფლიო რეკორდსმენმა როზემარი აკერმანმა სარეკორდო ნახტომის შემდეგ ასეთი ინტერვიუ მისცა ჟურნალისტებს:

— დადგა ახალი ხანა ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში. როგორ გქონდათ წარმოდგენილი ის დღე, როდესაც ორმეტრიან ზღვარს მიაღწევდით?

— რასაკვირველია, ვოცნებობდი ამ წარმატებაზე, მაგრამ არავის ეგონა, რომ იგი დღეს დადგებოდა. მე ისევე გაკვირვებული ვარ, როგორც ყველა დანარჩენი.

— შეჯიბრების დროს ხომ არ გიფიქრიათ, რომ შეძლებდით ამ სიმაღლის დაძლევას?

— იმ დღეს მოთელვისას თავს უფრო მსუბუქად ვგრძნობდი.

— საბოლოოდ რა სიმაღლის დაძლევა გქონდათ განზრახული?

— მინდოდა აუცილებლად ორი მეტრის სიმაღლე გადამელახა. სწორედ აქეთკენ იყო მიმართული ჩემი ბრძოლის სტრატეგია. ჩემთვის ისიც საკმარისი იქნებოდა, რომ საჩვენებელ ტაბლოზე ეს ციფრი მეხილა. ამ ორიოდე კვირის წინ ჰელსინკში გამართულ შეჯიბრებაზე შევუკვეთე ეს სიმაღლე, მაგრამ შეცდომით ტაბლოზე 199 სმ აინთო. ამან ცოტა არ იყოს გული დამწყვიტა.

— აქ, ოლიმპიურ სტადიონზე ჰელსინკთან შედარებით უკეთესი პირობები ხომ არ იყო მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად?

— ამინდი, მოედანი, მაყურებელი და საერთოდ ყველაფერი ხელს მიწყობდა. ჰელსინკში კი ციოდა, წვიმდა და ქარიც ქროდა. დასავლეთ ბერლინის სტადიონს ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ სტარტზე მხოლოდ ხუთი მხტომელი გამოვიდა და საქმეც უფრო სწრაფად წავიდა. მას შემდეგ, რაც დები ბრილმა 192 სმ ვერ დაძლია, შეჯიბრების სადავეები მყარად ავიღე ხელში.

— რომელი სიმაღლიდან ჩაებით ასპარეზობაში?

— დავიწყე 175 სმ-ით და ისევე როგორც ყველა მომდევნო სიმაღლე (180, 186, 189, 192, 197 სმ), თვით ორი მეტრიც პირველსავე ცდაზე დავძლიე.

— უკეთესი ხომ არ იქნებოდა უფრო დიდი სიმაღლიდან დაგეწყოთ ასპარეზობა, ამით ხომ უფრო მეტ ძალას შეინარჩუნებდით?

— 175 სმ ჩემი საწყისი სიმაღლეა, რადგანაც არ მინდა კონტაქტი დავკარგო შეჯიბრებასთან. უფრო დაბალი სიმაღლეები მობილიზაციის საშუალებას არ მაძლევს, ისევე როგორც უფრო დიდი სიმაღლიდან შეჯიბრება.

— 192 სმ-დან პირდაპირ 197 სმ შეუკვეთეთ, ე. ი. ჰელსინკის მსოფლიო რეკორდი გაიმეორეთ, რატომ არ სცადეთ 198 სმ-ის დაძლევა?

— თამასის 5 სმ-ით აწევა ჩემთვის უკვე ბევრს ნიშნავდა. ისე კი გავიფიქრე, თუ 195 სმ დავძლიე, 197 სმ-საც ადვილად დავიმორჩილებ მეთქი. 198 სმ შეიძლება ცოტა უხერხული ყოფილიყო. უპირველეს ყოვლისა, ჩემი მთავარი მიზანი იყო ორი მეტრი. 197 სმ სიმაღლე კარგ მეგზურობას გამიწევდა.

— 202 სმ-ს ისევე უტევდით, როგორც ორმეტრიან ზღუდეს?

— რასაკვირველია. ორი მეტრის სიმაღლის გადალახვის შემდეგ დაძაბულობა მომეხსნა, აღარაფერზე ფიქრი აღარ შემეძლო, უბრალოდ ბედნიერი და რაღაცნაირად გამოთიშული ვიყავი. მეორეს მხრივ, არ მინდოდა შეჯიბრება შუა გზაში მიმეტოვებინა. მომავლისთვის აუცილებლად ძალას ვცდი ამ სიმაღლეზე, რასაც ნაწილობრივ ნიადაგიც შევუმზადე.

— რა სიმაღლეები იქნება გადალახული 1980 წელს?

— ამის შესახებ ჯერ არ მიფიქრია. ბედნიერი ვარ, რომ ორი მეტრის ზღვარი დაძლეულია. რასაკვირველია, წინსვლა აქაც იქნება. ორი მეტრი, ეს ხომ მაქსიმალური სიმაღლე არ არის!

— რას გრძნობთ გამარჯვების შემდეგ, როგორც მსოფლიოში პირველი ქალი, რომელმაც ორი მეტრის სიმაღლე დაძლია?

— ლამაზი და ამაღლებული გრძნობა დამეუფლა. წლების განმავლობაში ვახორციელებდი დასახულ გეგმას, რათა მსოფლიო რეკორდსმენი გავმხდარიყავი. ახლა ყველაფერი მიღწეულია.

გერმანულიდან თარგმნა
მ. რადიანმა.

წყალბურთი

რუმინეთის ქალაქ ბრეილაში დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების იუნიორ წყალბურთელთა ტურნირი — „მეგობრობა“. მასში მონაწილეობდნენ უნგრეთის, კუბის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, სსრ კავშირისა და რუმინეთის (2) გუნდები. ფინალურ ტურნირში ჩვენმა ჭაბუკებმა ორი მატჩი ჩაატარეს. პოლონელებს მოუგეს 8:2, ხოლო უნგრელებთან ფრედ — 3:3 ითამაშეს. საბჭოთა და უნგრელმა წყალბურთელებმა ქულათა ერთნაირი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ უპირატესობა საბჭოთა გუნდს მიეკუთვნა, რადგან ბურთების უკეთესი სხვაობა ჰქონდა.

საწყლოსნო სპორტის მოსკოვის ოლიმპიურ ცენტრში ორი შეხვედრა გამართეს ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის წყალბურთელებმა. მათი მეტოქე იყო რუმინეთის ქალაქ კლუჟის „პოლიტეხნიკი“. პირველ შეხვედრაში გამარჯვება მასპინძელთა მხარეზე იყო — 8:7, მეორეში იმარჯვეს სტუმრებმა — 8:6.

ახალშობილებიც კი ცურავენ. ამ საკითხზე რამდენიმე წელია მუშაობს გერმანელი ცურვის ინსტრუქტორი ა. ბაუმაისტერი. ბავშვებს ცურვას სპეციალურ სკოლაში ფეხისადგმამდე ასწავლიან. საქმე ისაა, რომ პატარები წყალს აღიქვამენ როგორც ცხოვრების ბუნებრივ ელემენტს. მათ, ერთი წლის იუტას (სურათზე) მსგავსად, წყლის არ ეშინიათ.

36-ე ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, 36-ე ტირაჟებისა, რომლებიც მოსკოვში 7 სექტემბერს მოეწყო.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო; ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 1279 მანეთია (70 ბარათი), ოთხისთვის — 36 (2577), სამისთვის — 3 (38672).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი აქაც ვერავინ გამოიცნო; ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (6 ბარათი), ოთხისთვის — 87 (650); სამისთვის — 3 (13737).

მოგებული თანხა გაიცემა 18 სექტემბრიდან 18 ოქტომბრის ჩათვლით.

„შაბათის სპორტლოტო“

მოსკოვი, 10 სექტემბერი. დღეს აქ მოეწყო „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, 37-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

პირველი: 17 (ციგურები), 24 (ხელბურთი), 26 (სამბო), 30 (სასტენდო სროლა), 33 (ფიგურული ციგურაობა).

მეორე: 11 (ტანვარჯიში), 13 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 26 (სამბო), 28 (მშვილდოსნობა), 30 (სასტენდო სროლა).

„მეოთხე ლიგიდან ვიწყებ“

წარსულში განთქმულმა ფეხბურთელმა, არგენტინის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ო. სივორიმ განაცხადა, რომ დიდ იმედებს ამყარებს მის მიერ დაარსებულ გუნდ „ნუოვო ნაპოლიზე“ („ახალი ნეაპოლი“). ეს გუნდი, რომელიც ჭაბუკი ფეხბურთელებისგან შედგება, იტალიის უდაბლესი — IV ლიგიდან დაიწყებს თამაშს. გარდა ამისა, სივორი აცხადებს, რომ ბევრს იმუშავებს ამ კლუბთან არსებულ ბავშვთა სპორტსკოლაში და ახალ ტალანტებს მოძებნის.

ტარდელი № 1

როგორც იტალიური პრესა იუწყება, ჟურნალისტების კონკურსის შედეგად 1976-77 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად ცნეს ტურინის „იუვენტუსის“ მცველი მარკო ტარდელი.

ფეხბურთი

ლ. პერეირას გარეშე

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნუნიესმა განაცხადა, რომ მადრიდის „ატლეტიკოსთან“ უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ ეროვნული ნაკრებიდან გამოყვანილია მისი უძლიერესი მცველი ლ. პერეირა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

საქმე ის არის, რომ მადრიდის კლუბმა უარი განაცხადა გაათავისუფლოს ლ. პერეირა ხანგრძლივი წინასაჩემპიონატო შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად, რომლის გარეშე კი არც ერთ ფეხბურთელს არა აქვს უფლება გამოვიდეს ბრაზილიის ნაკრებში.

რედაქტორი ა. ბასილაია.

თბილისის სპორტის სასახლეში 15 სექტემბრიდან მუშაობას იწყებს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფები საშუალო და უფროსი ასაკის მოსახლეობისთვის. ჯგუფები იმეცადინებენ კვირაში სამჯერ 45 წუთის ხანგრძლივობით. მათ მოემსახურება კვალიფიციური მეთოდისტი და სასახლის მომსახურე პერსონალი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ სასახლის სპორტული განყოფილების უფროსს. ტელ. 36-20-54, 36-01-55.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14; 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71; 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-57; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

7 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02270